სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 თებერვალი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება №06-01/18

2024–2025 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის, ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანების, ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/36 გადაწყვეტილების, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის (MES 4 24 0000136247, 09.02.2024), ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის (MES 1 24 0000139043, 09.02.2024), ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის (MES 5 24 0000135933, 09.02.2024), ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის (MES 2 24 0000136812, 09.02.2024), ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის (MES 2 24 0000151978, 13.02.2024),ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის (MES 1 24 0000117155, 05.02.2024), აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმისა (№06-02/04, 06.02.2024) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოხსენების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს 2024–2025 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარი წინამდებარე დადგენილების **N1 დანართის** შესაბამისად;
2. დადგენილების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს, დარგობრივ დეპარტამენტებს, დეკანის ოფისებს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„2024–2025 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის
№06-01/18 დადგენილების
დანართი 1.

N	საგანმანათლებლო პროგრამა	მისაღები რაოდენობა	პროგრამების აკრედიტაციის ვადა	სწავლის საფასური
1	ბიზნესის ადმინისტრირება	25	31.12.2024	**2250**
2	ეკონომიკა	15	31.12.2028	**2250**
3	ფინანსები და საბანკო საქმე	15	31.12.2024	**2250**
4	განათლების ადმინისტრირება	8	31.12.2024	**2250**
5	კომპიუტერული მეცნიერება	10	31.12.2032	**2250**
6	მათემატიკა	5	01.07.2027	**2250**
7	პროფესიული და უწყვეტი განათლება	8	01.07.2025	**2250**
8	ფიზიკა	3	01.07.2027	**2250**
9	კლინიკური ფსიქოლოგია	15	31.12.2028	**2250**
10	სამართალი	30	01.07.2026	**2250**
11	ბიოლოგია	7	31.12.2027	**2250**
12	ეკოლოგია	5	01.07.2032	**2250**
13	ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება	3	01.07.2027	**2250**
14	ქიმია	3	01.07.2027	**2250**
15	ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები	3	31.12.2032	**2250**
16	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	10	31.12.2026	**2250**
17	ტურიზმის მენეჯმენტი	15	01.07.2030	**2250**
18	ევროპული ფილოლოგია	6	13.02.2030	**2250**
19	თარგმანმცოდნეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია	5	13.02.2030	**2250**
20	თურქოლოგია	3	13.02.2030	**2250**
21	ისტორია	6	17.03.2030	**2250**
22	ლინგვისტიკა	3	31.03.2030	**2250**
23	ფილოსოფია	3	31.12.2029	**2250**
24	ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევები	3	31.03.2030	**2250**
25	შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგია	3	17.03.2030	**2250**
26	ციფრული მედია და ინოვაციები	6	11.05.2026	**2250**